# სახალხო ფურცელი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 609

დამატების № 109

კვირა, 26 ივნისი 1916 წ.




უზდენელი ქალი. ნახატი ხალილ-ბეგ-მუსაევისა.

## სული ობოლი

ხალხთ მილიონნი მესალმებიან,
ხალხთ მილიონებს მეც ვესალმები,
მაგრამ დღის სხივნი როცა ჰქრებიან,
მე ისევ ისე მარტოკა ვრჩები.

მიკვირს, ეს ხალხი რად მესალმება?!
ან მე ამ ხალხსა რად ვესალმები?!—
იმას ზედმეტი შრომა უხდება,
მეც ისევ ისე მარტოკა ვრჩები.

ი. მჭედლიშვილი.

## გულის ძიება

**(ნაწყვეტები ემიგრანტის დღიურიდან)**

კაცსა მიჰხვდეს საწადელი, რას ექებდეს უნდა ჰოვნა
მაშინ მისგან აღარა ჰხმას, გარდასულთა ჭირთა ხსოვნა.

**შოთა რუსთაველი.**

28 მაისი.

რამდენი ხანია მას შემდეგ კარგად არ მახსოვს. მხოლოდ სიზმარივით მაგონდება! რატომ ასეთი მომხიბლელი და ლამაზი იყო, ის დრო? ახლა კი! ასეთი მოწყენილობა, მარტოობა!

დევნილი ნადირივით, უცხო მხარეში მიმწყვდეული, ჩემს გარემოს შევცქერი. მინდა ხმა გამცეს ვინმემ, მინდა მეც ვიმღერო, ვიმხიარულო და... გულჩათხრჩობილი და სევდიანი შევყურებ სადღესასწაულოდ მორთულ ხალხს, მათ მცინარ სახეს... თავჩაქინდრული, როგორც აჩრდილი დავეხეტები მათ შორის და ფიქრებით სულ სხვაგან ვიმყოფები..

გუშინ ჩვენშიც ამაღლება იყო! ამაღლება ხომ ჩვენი სოფლის საყდრის დღეობაა! ამაღლების საყდარი ჩვენი სოფლის გორაზე აშენებული. ჩვენი სახლი კი ამ გორაკის ძირშია...



დავით გარესჯის მონასტერი. უდაბნო წამებულთა. კლდეში გამოკვეთილი მღვიმეები (იხ. „სახ. ფურც.“ № 597).



მღვიმეების დასავლეთით მდებარე ეკლესია შიგნიდან. აქ ინახება მრავალი ძვლები იმ ბერებისა, რომელნიც შაჰაბაზს ამოუხოცია (იხ. „სახ. ფურც.“ № 597).

ვხედავ, გაზაფხულის დილას, როგორ ჭიანჭველასავით მიცოცავს გორაკის ბილიკზე სადღესასწაულოდ გამოწყობილი ხალხი. ზევით, საიდანაც საყდრის თეთრი კედელი მოსჩანს, ხალხი უკვე ბლომათაა შეყრილი. ვიცი იქ უკვე დაწყებულია დღესასწაული... ერთმანეთში არეული ხალხი, ზოგი საყდარში შედის სანთლის დასანთებად, ზოგი საყდრის გალავანში სახელდახელოდ გამართულ დუქნებთან ვაჭრობს. ისმის ზურნისა და არღნის ჭყვილი, და ეს ხმა ყველას ამოძრავებს, თვალებს უბრწყინებს... მეც ქუდს ვიხურავ და იქით მივეშურები... მესმის ცხენების ჭიხვინი...

გალავნის მოშორებით მყოფ ტრიალ მინდვრიდან, საჭიდაო ზურნის ხმა ისმის; ყველა იქით მიეშურება, თითქმის მირბიან... ჩემს გვერდით ჩვენი მეზობელი პეტრეც მორბის; თიხის ქოთანი უყიდია, ჯოხზე წამოუცვამს და ამაყად მირბის. ერთს ახალგაზრდა ჩოხოსანს ხელში სახრე დაუჭერია და საჭიდაო წრეს აკეთებს, შეჯგუფულ ხალხს ერეკება, ფეხებში სცემს, რომ განი გააკეთონ... მეც წინ მივიწევ, სახრის არ მეშინია. ერთმანეთს აწვებიან, სჯიჯგნიან... ყველა სცდილობს წინ დარჩეს. ჩოხოსანი კაცი კი, ხან აქ გაჩნდება და ხან იქ. შუა წრე თითქმის გაკეთებულია, საჭიდაო ზურნის ხმაც აჭიჭყინდა, ამ დროს ვხედავ პეტრეს, თავისი ქოთნით, ერთი მხრიდან მეორე მხარეს გადასვლა უნდა და გაჩქარებული მიძუნძულობს. უცბად მის გვერდით სახრიანი ჩოხოსანი ჩნდება და საწყალი პეტრეს ქოთნის ნამტვრევები ძირს ცვივდება... ყველა იცინის... „ქოთანი არ დაგრჩეს, ძმობილო, ქოთანი!..“ დაცინვით იძახიან. პეტრე გაშტერებული დგას, ხან ძირს იცქირება, თითქო იკუზება კიდეც და ხან ჩოხოსან კაცს შეხედავს, რომელიც ახლა წრის მეორე მხარეს იმყოფება.

კიდევ კარგა ხანს ტრიალობს პეტრე იმ ალაგს, თითქო არ სჯერა, რაც მოხდაო, მერე ჯოხს იღლიაში ამოიდებს, მწარედ თავს გააქნევს, „ი მუდრეგა რა დაუნდობლად იცემებაა“,—წაილუღლუღებს და ნაღვლიანი სახით იქვე წრეში მიიმალება.

ახლაც ასე ნათლად მაქვს წარმოდგენილი მისი მწუხრიანი სახე. საკინძე გახსნილი მკერდი, ზედ რომ ბუჩქათ შავი თმაა ამოსული!

ნეტა რას ეტყოდა თავის დედაკაცს, სახლში რომ დაბრუნდებოდა?

... მერე შე ბრიყვო, შენა და, რაღა შუა წრეში ეჩხირებოდი, მერე?... შეეკითხა დედაკაცი. „რა ვიცი, ადამიანო, აბა, რა მეგონა, ისე უცბად თუ იქ გაჩნდებოდა ის ოხერი, ისა!... პასუხს მისცემს ჩვენი პეტრე და ლაპარაკიც აქ შეწყდება, იმნაირადვე უბრალოდ, როგორც უბრალოდ გაუტეხეს მას დღეობაზე ნაყიდი ქოთანი...

პეტრე ხომ გუშინაც იქნებოდა ამაღლების დღესასწაულზე? რა მხიარული და მზიანი დღე იქნებოდა!.. აქ კი! რატომ არ შემეძლო მეც დღესასწაული მეგრძნო? რატომ აქაურებივით მეც არ ვმღეროდი, მხიარულობას არ ვეძლეოდი?

საღამოს, კარუსელისაკენ რომ გავიარე, მოედანზე სახელდახელოდ ფიცრები დაეგოთ, ირგვლივ ფერადი ფარნები აენთოთ მწყობრად მაგიდას შემოსხმოდნენ და ლუდს სვამდნენ, სხვები ცეკვავდნენ, მღეროდნენ... პატარა ხანს ვუცქირე ამ ამბავს და დაღონებულმა მალე სახლისკენ გამოვწიე.

გზაში იადვიგა შემხვდა, ალექსისთვის მკლავში მკლავი გაეყარა და მხიარულად მოდიოდნენ ქუჩის ქვაფენილზე. მერე რათ შევკრთი? სისხლი რათ მომაწვა სახეში? რატომ არ მივედი მათთან? თითქო თავბრუ დამეხვა და ჩემს გულს რაღაც მოწყდა; გზა ავიბრუნე, მათ რომ არ შევხვედროდი და ჩემს ოთახს მივაშურე... გული ვერა-

და ითირს. მხიდრის მკვლელობას.

ლები კი საუკუნოდ იყო დახუჭული!..



ქართველი მაჰმადიანები სოფ. ქაქუთიდან.



მაჰმადიან და ქრისტიან ქართველების ექსკურსია.

ფერს დავუდე, ხან ერთი წიგნი ავიღე ხელში და ხან მეორე. თავში არაფერი შედიოდა. დაუპატიჟებელი ფიქრები ვერაფრით მოვიცილე... „მერე იადვიგამ, ალექსის რომ დასცინა? მაშ, ასე მხიარულად რაზე ლაპარაკობდნენ?.. არა, არაფერი! ღამე იყო, ალბად უფრთხილდებოდა ფეხი არაფერს წაკრასო და ამიტომ ჰქონდა მკლავში ხელი გაყრილი!.. არა, არა! იადვიგა კეთილი ქალია!..

მაგრამ, ახლა რაღად ღელავს ჩემი გული? იადვიგა, იადვიგა აღელვებს ჩემს გულს და აი, ლამის ვიპოვო ჩემი გული! ოღონდ ვიპოვო ჩემი გული!.. ბედნიერ იყოს ჩვენი შეხვედრა, იადვიგა, თუ შენ აღელვებ ჩემს გულს, ბედნიერ იყოს!..

25 ივნისი.

განა არ ვიცი, რომ იადვიგა კეთილი ქალია! მაშ, რატომ ასე მალე დავვახლოვდით ჩვენ! იადვიგა გულუბრყვილო და წრფელი არსებაა! მისი თვალები სიკეთით სავსე ზღვაა და ეს თვალები მიცინიან! იადვიგას თვალები, მე მიცინიან, მე!... და მეც ბედნიერი ვარ!

იმ დღეს გორაზე რომ ვისხედით გრძელ სკამზე და ქალაქს გადავყურებდით, განა ჩემი არსება იადვიგასთან შეერთებული არ იყო? ისიც იყო ბინდდებოდა. ქალაქის სანათები ნელნელა ჩირაღდნებოდნენ და შორიდან მიმქრალი ვარსკვლავებივით ციმციმებდნენ... ჯერ კიდევ ღამის შავი ფრთები არ გაშლილიყვნენ. ყრუ გრუხუნი და გრიალი მოისმოდა შორიდან. ტყეში კი დუმილი იყო გამეფებული. ჩვენც ვსდუმდით... მერე იადვიგა მომიბრუნდა და შემეკითხა.

— რამდენი ხანია თქვენს სამშობლოში არა ყოფილხართ?

— აღარ მახსოვს, იადვიგა! დიდი ხანია მას შემდეგ, ძალიან დიდი ხანი!

— მერე, არ მოგინდებათ ხოლმე იქ ყოფნა?

— და მერე, როგორ, იადვიგა! სიზმარივით მაგონდება იქაურობა... იქ მხოლოდ ჩემი სიყმაწვილე გამიტარებია, დავაჟკაცების დროს კი, მომაცილეს იქაურობას... რაღაც თავბრუ დამხვევი სისწრაფით გაიარა ამ ხანამ და მეც თვით არ ვიცი ახლა, რა არის ჩემი ცხოვრება! თავს ისე ვგრძნობ, თითქო სადმე ჯურღმულში ჩამაგდეს, საიდანაც ვუმზერ მზის მსვლელობას, ადამიანთა ცხოვრებას, მათ მოქმედებას, მათ სიხარულს და წუხილს!... მესმის როგორ მოძრაობენ, წინ მიისწრაფვიან... იქნება რაღაც დიადი, შენდება დიდებული კოშკი მომავალი ბედნიერებისა; ყველა თავის ადგილზე, ყველას თავის დანიშნულება აქვს!... ყველა უფლებით არის აღჭურვილი და იმავე დროს ვალდებულია... და ამ უფლება-ვალდებულებაში,



პრაპ. სევერიანე ჟანტურია
(მოკლულია).



ჯ. კ. გიორგი ჯახუტაშვილი
(სახადით გარდაიცვალა).



პეტრე ჯიმშერაშვილი.
(ტიფით გარდაიცვალა)

იქმნება ერთი მთლიანი რამ, რომელსაც ცხოვრება ჰქვიან! მთელი არსებით ვგრძნობ რომ მეც უნდა წევრი ვიყო ამ საზოგადოების, მქონდეს უფლება, ვალდებულება... ც ამ დროს ჯურღმულში ვარ ჩავარდნილი და სად არის გასავალი, ვერ მიპოვნია!..

— გასავალი, სამშობლოში დაბრუნებაა!.. სთქვა იადიგამ და შემომხედა.

შევკრთი, ველარაფერი ვ'თქვი. მერე რად დამიწყო გულმა ასე ძალუმად ცემა? რად გავჩუმდი და მთლად ჩემს გრძნობას ავყევი? თითქო დაჭრილ ადგილს მალამო მოსცხესო და ჭრილობა დაამესო ისეთი ტკბილი იყო ის წუთი! გული, გული ვიგრძენი მაშინ და იადვიგა, იადვიგა იყო ჩემს გვერდით...

საღამოს მწუხრმა იადვიგას სახეზედაც მწუხარება აღნიშნა და შავი ღრმა თვალები, უფრო გარღმავდნენ... ვერაფერს ვამბობდი. მხოლოდ იადვიგა ლაპარაკობდა ტყის სიმშვენიერეზე თუ რა ლამაზია იგი დაბინდებისას, როცა დაღლილი ჩიტები ფრთხილად ტოტიდან ტოტზე გადიფრენენ ღამის ბინის მოსაძებნად.

ტყის სიღრმეში სიბნელემ ხის სვეტები შეაერთა. შორიდან მოციმციმე სანათები უფრო განათდნენ. ქალაქიდან აღარ ისმოდა ისეთი ხმაურობა. ზევიდან ჩვენ ხის განიერი ტოტები დაგვყურებდნენ და მათ მიხვეულ-მოხვეულ ფოთლებთა შორის გამოკრთოდა კელაპტრებით გაჩირაღდნებული ცის გუმბათი.

— შეხეთ, შეხეთ! მოწყვეტ'ლი ვარსკვლავი!—წამოიძახა იადვიგამ.

თვალი მოვკარი ცეცხლის შურდულივით გასწრაფებულ ვარსკვლავს, რომელიც თავისივე მსვლელობაში შეწყდა.

— სად გაქრა ის ვარსკვლავი?—იკითხა იადვიგამ და ცას შეაჩერდა.

თავში ერთმა აზრმა გამიელვა, გული ამიტოკა. მინდოდა იადვიგასთვის მეთქვა, მაგრამ ვერ გამებედნა. დაჟინებით კი ტრიალობდა ჩემს ენაზე და მოსვენებას არ მაძლევდა. მერე თავს ძალა დავატანე და ენის დაბმით გაწითლებულმა, წავილუღლუღე:

— ის ვარსკვლავი, იადვიგა, ცას რომ მოწყდა, აგერ ჩემს გვერდით დაჯდა!.. და თვალებ გაწითლებულმა, ყელში სულ მობჯენილმა, მოღიმარი სახით იადვიგას შევხედე.

იადვიგამ განცვიფრებით შემომხედა. არაფერი თქვა. თითქო სისულელე რამ ჩამედინოს, ჩემის თავისა შემრცხვა. დასჯილი ბავშვივით ხმა ამოუღებლად ვიჯექი. და არ ვიცი რას ფიქრობდა იადვიგა... და მერე, რატომ გაბედვით ვერ ვუთხარი, რასაც ვფიქრობდი მასზე? რად მიშლიდა ყელში მობჯენილი სისხლი, რად ცახცახებდა მთელი ტანი და ასე ძალუმად, რად სცემდა გული.

იადვიგას გვერდით ვიჯექი და მთელი არსებით მისკენ მივეზიდებოდი. მესმოდა მის გულის ცემა და ვყნოსავდი მის სუნთქვას. მაშინ შეერთებული იყო ჩემთვის ქალაქი ტყესთან, მიწა ცასთან! ვარსკვლავები სამყაროსთან და ნიავი ბინდისა მე და იადვიგას გვხვევდა ერთ სუდარაში...

სახლში რომ დავბრუნდი, დამთვრალი ვიყავი, გაბრუებული... იადვიგას სახელი მედგა პირზე და ქართულად ვ'ალერსებოდი. ათასჯერ ვიმეორებდი ერთსა და იგივე სიტყვებს: იადვიგას ვენაცვალე, იადვიგას!...

გული ძალუმად სცემდა და ფართხალობდა, როგორც ხელში დაჭერილი ცოცხალი თევზი... გული ჩემი სცემდა, და ღმერთო ჩემო, იგი იადვიგასთვის სცემდა...

იადვიგა! პოლონეთის ასულო, დალოცვილ იყოს შენი სახელი!..

15 ივლისი.

როგორ შეიძლება გულმა უსაბუთოდ ძგერა იწყოს! განა არ ვიცოდი, რომ იადვიგას თვალები ჩემთვის იცინოდნენ! განა ამისთვის არ იყო, ასეთი თანაგრძნობით შემხვდებოდა ხოლმე! მხოლოდ აქნამდის ვერ ვხედავდი ამას! ახლა კი, როცა ჩემი გული ნაპოვნია, როცა იგი ღელავს დი ყოველთვის იადვიგასკენ ისწრაფვის, აღარ დავწყევლი ჩემს გაჩენის დღეს! კვლავ გაიხარებენ ჩემი თვალები, კვლავ ამეტყველდება ჩემი ენა და კვლავ შესთხზავს ლოცვებს იადვიგასთვის საგალობელს...

ნაპოვნია, ნაპოვნი, ჩემი სული და გული ჩემი,—იადვიგაა!..

ახლა როდილა ვგრძნობ თავს მარტოხელად! ჩემი ოთახი როდილაა მოწყენილი! არამედ თითქო კედელზე აწერია ყველგან იადვიგას სახელი, თითქო ყოველი კუთხიდან მიცინოდნენ მისი თვალები! გარვიძების დროს, თვალს გავახელ თუ არა, ჩემი ფიქრები იადვიგასთან საუბარს აგრძელებენ. მოდუნებული კი არა ვარ, სწრაფად წამოვხტები ლოგინიდან და პირის ბანის დროს, სარკეში ჩავიხედავ თუ არა, თითქო იქაც იადვიგას თვალებს ვხედავდე,—შევცქერი და ვეალერსები მათ? მარდად პირს დავიბან, და წიგნს ავაღებ თუ არა ხელში,—წაკითხულ აზრებს იადვიგას ვუზიარებ, მას ვებაასები და თითქო მისთვის ვკითხულობდე, ვცდილობ მისი მოსაწონი აზრები ამოვკრიბო წიგნიდან... „პოლონეთი"!.. ძალიან უყვარს იადვიგას პოლონეთი! იადვიგა პოლონელი ასულია, მისი ერი ტანჯულია და მე მიყვარს ტანჯული პოლონეთის ასული... მისი სახელი იადვიგაა!.. მიყვარს იადვიგა!.. ღმერთო ჩემო, მე მიყვარს იადვიგა!..

მიყვარს იადვიგა და პირველი კოცნის სურათსაც, იმ დღეს რომ ვნახეთ გამოფენილი ფანჯარაში,—მას გაუგზავნი! შენ აკი თვითონ სთქვი, იადვიგა, პირვილი კოცნა ელექტრონის ძალააო! არა, იადვიგა! პირველი კოცნა იმ სხივებს უნდა ჰგავდეს, რომელნიც პირველად დედამიწაზე გაჩნდნენ! და სთქვა უფალმა, და იყვეს ნათელ! მაშინ პირველი სხივი გულში ჩასრიალდა და იქ სიყვარულის ჰანგები ააჟღრიალა!.. და იწყო გულმა ფეთქა!..

სიყვარული, იადვიგა, წყაროა სიცოცხლისა, და წყარო იგი ჩემი სიცოცხლისა ამიერიდგან შენ ხარ, იადვიგა! შენ ინდოელების ქალ-ღმერთი იუზჰა ხარ ჩემთვის! ის ხომ ნიშანი იყო დღის დასაწყისისა! ისე შენ ხარ ნიშანი ჩემი ცხოვრების დასაწყისისა! იუზჰასთან ერთად ჩნდებოდნენ პირველი სხივები ქვეყნიერების სინათლისა; ის მიუძღოდა წინ მზის მსვლელობას და იწყებოდა ლხინი დედამიწის ცხოვრებისა... ჩიტები ბუდიდან გაფრინდებოდნენ; ქოხების ბუხრებიდან კომლი გამოჩნდებოდა; გლეხი თოხით ყანაში მიდიოდა; საყდრის ზარი ცისკრის სამლოცველოს ჰრეკდა!.. და აი, მეც ჩამოვრეკე დღეს პირველად ცისკრის ზარები და ლოცვა ვიწყე!.. და სამლოცველო ჩემი იყავი შენ! შენ ხომ წმინდა ხარ როგორც საკურთხეველი და მეც ფეხ გახდილი და მუხლმოდრეკილი ვიდექი შენს წინაშე და გიგალობდი დიდებულ საგალობელს..

კურთხეულ იყავ შენ, იადვიგა, რომელმაც მიეც ჩემ სიხარულს დასაწყისი! კურთხეულ იყავ შენ, იადვიგა, რომელმაც ააძგერე ჩემი გული! კურთხეულ იყავ შენ, იადვიგა, რომელმაც მაპოვინე ჩემი გული!..

**დ. ლიხელი.**

(შემდეგი იქნება).

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან. ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა. სტამბა „ქართლი". რედაქტორ-გამომცემელი **დ. ჯორჯაძე.**

ლები კი საუკუნოდ იყო დახუჭული!..

და ეთერს, მხედრის მკვლელობას.

ს. ფაშალიშვილი.